პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 22 დეკემბერი, 1943 წ. № 263 (6888). ფასი 20 კაპ.

დიდი საბჭოთა სახელმწიფოს ჰიმნი

„იზვესტიას“ მოწინავე — 21 დეკემბერი

Союз нерушимый республик свободных
Сплотила навеки Великая Русь.
Да здравствует созданный волей народов,
Единый, могучий Советский Союз!

ამ საზეიმო სიტყვებით იწყება საბჭოთა კავშირის ახალი სახელმწიფო ჰიმნი, რომლითაც ჩვენ ამიერიდან ქება-დიდებას შევასხამთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სიდიადეს. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა — იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის ახლანდელი სახელმწიფო ჰიმნი „ინტერნაციონალი“ თავისი შინაარსით ვერ ასახავს ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილების გამარჯვების შედეგად მომხდარ ძირფესვიან ცვლილებებს და ვერ გამოხატავს საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტურ არსს,— შეიცვალოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი ახალი ტექსტით, რომელიც თავისი შინაარსით შეეფერება საბჭოთა წყობილების სულსა და დედაარსს. ახალი ჰიმნის ტექსტი დღეს ქვეყნდება, მუსიკა გამოქვეყნდება ცალკე.

ახლანდელი ჰიმნი — „ინტერნაციონალი“ — დაიწერა 1871 წელს. მეოთხედი საუკუნის მანძილზე „ინტერნაციონალი“ იყო ჩვენი ბრძოლის ოფიციალური სიმღერა, საბჭოთა სახელმწიფოს ჰიმნი. ამ დროის განმავლობაში ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში ძირფესვიანად შეიცვალა. ის, რაც მშრომელთა მისწრაფება იყო, სსრ კავშირში რეალობად, სინამდვილედ იქცა. ჩვენ ავაგეთ ახალი ქვეყანა, შევქმენით სოციალისტური საზოგადოება, განვახორციელეთ მეურნეობის სოციალისტური სისტემა, მოვსპეთ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, დავამყარეთ ხალხთა ძმური მეგობრობა. საბჭოთა წყობილების გამარჯვებებმა განამტკიცეს, გაამრავლეს სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, მისი შინაგანი ძალები, მისი უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს გარეშე მტრებს.

ყველასთვის ცნობილია ეს მიღწევები, რომლებიც აღბეჭდილია სტალინურ კონსტიტუციაში. მაგრამ მათ, რა თქმა უნდა, ვერ ასახავდა ჰიმნი, რომელიც დაიწერა მრავალი ათეული წლით ადრე. ბუნებრივი იყო იმის სურვილი, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ეს ძირფესვიანი ცვლილებანი უწინარეს ყოვლისა გამოხატულიყო ძლევის საზეიმო სიმღერით, რომელიც ოფიციალურად იქნებოდა მიღებული, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა პატრიოტული გრძნობების პოლიტიკური და მუსიკალური გამოსახულება. ამიტომ ახალი სახელმწიფო ჰიმნის საზეიმო სტროფები შეესაბამება საბჭოთა ადამიანების ამ მოთხოვნილებას.

Славься, Отечество наше свободное,
Дружбы народов надёжный оплот!
Знамя советское, знамя народное
Пусть от победы к победе ведёт!

ახალი ჰიმნის ტექსტში საბჭოთა პატრიოტი იპოვნის თავისი გრძნობების, თავისუფალი რესპუბლიკების ურღვევი კავშირით გამოწვეული თავისი უსაზღვრო სიამაყის გამოსახულებას, კავშირისა, რომელიც განმტკიცებულია სამარადისოდ დიდი რუსეთის მიერ, რომლის საუკეთესო ნაციონალური ტრადიციები განსახიერებულია რუსეთის მუშათა კლასში.

უკვდავი დამსახურება დიდი რუსი ხალხისა ჩვენი სახელმწიფოს შექმნაში, სსრ კავშირის ყველა მომძე ხალხთა ერთიან ერთსულოვან ოჯახად დარაზმვაში. თაობიდან თაობას გადაეცემა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გაერთიანებულ ხალხთა მეგობრობის დიადი სიდიდე.

რუსეთის მუშათა კლასმა შეჰქმნა დიადი ბოლშევიკური პარტია, ლენინ-სტალინის პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთ. პარტიამ შეჰქმნა ჩვენი სამშობლოს ძალა და სიმძლავრე, დიდმა სტალინმა გამოზარდა და აღზარდა ხალხისათვის თავდადებულ მოღვაწეთა მრავალმილიონიანი ლაშქარი.

Сквозь грозы сияло нам солнце свободы,
И Ленин великий нам путь озарил.
Нас вырастил Сталин — на верность народу,
На труд и на подвиги нас вдохновил.

ასე იტყვიან ამ საბჭოთა ადამიანების მგზნებარე სიმღერა, რომელნიც წავლენ საშრომლად და საგმირო საქმეების ჩასადენად საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორების, მისი სიმძლავრის შემქმნელების — ლენინისა და სტალინის გზით. საბჭოთა კავშირის ხალხები, მიჰყვებიან რა ლენინის ანდერძს, დარაზმულნი დიდი სტალინის გარშემო, ამჟამად სრადიან ისტორიის უდიდეს საგმირო საქმეს, — და ყოველი საბჭოთა ადამიანი ღრმა, გულის სიღრმეში ჩამწვდომი გრძნობით ლაპარაკობს ჰიმნის სიტყვებით:

Мы в битвах решаем судьбу поколений,
Мы к славе Отчизну свою поведём!

ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ხედავს კაცობრიობა დიადს მოწინავე, პროგრესიულ როლს საბჭოთა კავშირისას, რომელმაც მთელი თავისი სიმძლავრით გადაუღობა გზა საზიზღარ გერმანელ დამპყრობთ. ჩვენი წითელი არმია მსოფლიო ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდში წარმოადგა როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების ცოცხალი განსახიერება. ჰიმნის სიტყვებში გამოხატულია საბჭოთა ხალხის საბრძოლო ნებისყოფა, მისი სიამაყე თავისი არმიის გამო, მისი რწმენა მტერზე გამარჯვებისა:

Мы армию нашу растили в сраженьях,
Захватчиков подлых с дороги сметём!

სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნში გამოხატულია ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება აღგავოს თავის გზაზე ყოველი დამპყრობი, რომელნიც ხელჰყოფენ ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმიდა „მიწა-წყალს, რომელნიც ხელჰყოფენ მისი საზღვრების ხელშეუხებლობას. საბჭოთა კავშირის ახალი სახელმწიფო ჰიმნი არის ღირსეული გამოხატულება ჩვენი თავისუფალი საშობლოს, საბჭოთა ხალხების მეგობრობის, ბედნიერებისა და დიდებულ სამეფო ბურჯის სიდიადისა და ძლიერებისა.

ახალი ჰიმნი (რომლის ტექსტიც დაწერეს სერგეი მიხალკოვმა და ელ-რეგისტანმა, ხოლო მუსიკა—კომპოზიტორმა ა. ალექსანდროვმა) გამოდის ჩვენი ისტორიული ცხოვრების ღირსშესანიშნავ მომენტში. ახლანდელ მძიმე და სისხლისმღვრელ ბრძოლაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და გულდაჯერებულად მიდის გამარჯვებისაკენ სწორედ იმ დიადი ძალების მეოხებით, რომლებიც ასახულია ჰიმნის სტროფებში. მთელი ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ გამსჭვალულია გიგანტური ბრძოლის დაძაბულობით. მაგრამ ახლოვდება გამარჯვების ჟამი. და გადამწყვეტ სამხედრო ღონისძიებათა ამ მომენტში საბჭოთა ხალხი შობს თავისი დიადი საქმის გამარჯვების ახალ სიმღერას.

სასტიკ ბრძოლებში შობილი ახალი ჰიმნი გახდება დიდების, **ერთიანი და მძლავრი საბჭოთა კავშირის უკვდავი დიდების** სიმღერა! და დაე ფართოდ და მძლავრად გაისმას დედამიწაზე დიადი სიტყვები, რომელთაც სსრ კავშირის ხალხები გაატარებენ ყველა განსაცდელში და ანდერძად გადასცემენ მომავალ თაობებს:

Славься, Отечество наше свободное,
Счастья народов надёжный оплот!
Знамя советское, знамя народное
Пусть от победы к победе ведёт!

პოლკოვნიკ ბ. ბ. ყურაშვილს გადაეცა სუვოროვის II ხარისხის ორდენი

მოქმედი არმია („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). სამხედრო საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სუვოროვის მე-2 ხარისხის ორდენი გადასცა ანაპის 414-ე დივიზიის მეთაურს პოლკოვნიკ **ბ. ბ. ყურაშვილს,** რომელიც დაჯილდოებულია გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის.

მაიორი არ. კოკილაშვილი

ამერიკული და ინგლისური პრესა ხარკოვის პროცესის შესახებ

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი (საკდესი) ამერიკული პრესა თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს ცნობას ხარკოვის პროცესის და ჰიტლერელ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის შესახებ. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ხარკოვიდან გადმოსცემს, რომ ხარკოვში გამოტანილი განაჩენი პირველი ნაყოფია მოკავშირეთა მტკიცე პოლიტიკისა, რომელიც ითვალისწინებს ომის დამთავრებისა და სასჯას და რომელიც საქვეყნოდ გამოაცხადეს სტალინმა, ჩერჩილმა და რუზველტმა 1 ნოემბერს“.

ლონდონი, 21 დეკემბერი (საკდესი). ყველა გაზეთი და აგრეთვე ბრიტანეთის რადიომაუწყებელი კომპანია ხაზგასმით აღნიშნავენ რომ პროცესმა გამოააშკარავა ჰიტლერის პასუხისმგებლობა.

„სანდო ექსპრესი“ კომენტარს უკეთებს პროცესს და სწერს, რომ ის, რაც ილაპარაკეს პრალდებულებმა ხარკოვის პროცესზე, აღემატება ადამიანის ზნეობის დაცემის ყოველგვარ საზღვარს.

ამერიკის პოლონელთა წრეები საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის შესახებ

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი (საკდესი). კოსტიუშკოს სახელობის ლიგის ხელმძღვანელმა კარჩმარუიკმა, რომელიც 12 დეკემბერს გამოვიდა დეტროიტში „სლავთა მიჩაგვის კონგრესის“ მიერ მოწყობილ მიტინგზე. განაცხადა, რომ ამერიკელმა რეაქციონერებმა ისარგებლეს პოლონეთის საზღვრების პრობლემით პროფაშისტური პროპაგანდის გასაფართოებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში ისეთი პოლონელი რეაქციონერების საშუალებით, როგორიც არის მატუშევსკი, და პოლონეთის საელჩოს და პოლონეთის საკონსულოთა საშუალებით.

ჩიკაგოს უნივერსიტეტის ცნობილმა პოლონელმა პროფესორმა ლანგემ დეტროიტის გაზეთ „გლოს ლიუდოვიში“ მოთავსა სტატია, რომელშიც მოუწოდებს პოლონელთა დემოკრატიულ ძალებს შეჰქმნან პოლონეთის ახალი მთავრობა.

ლანგემ განაცხადა, რომ მოსკოვის კონფერენციამ შეჰქმნა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობანი, მაგრამ მხოლოდ პოლონეთის დემოკრატიას შეუძლია განსაზღვროს პოლონელი ერის მომავალი. პოლონეთის დემოკრატია დაყოფილია ორ ძირითად ჯგუფად; ეს ჯგუფები არიან: პოლონელ პატრიოტთა კავშირი სსრ კავშირში და პოლონელ დემოკრატთა ჯგუფი ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ლანგე მოუწოდებს ორივე ამ ჯგუფს გაერთიანდნენ და აირჩიონ პოლონეთის ახალი დროებითი მთავრობა. პოლონეთის ახალი მთავრობა შემდეგ მიზნებს უნდა ისახავდეს: არ დაუშვას, რომ რეაქციონერებმა კვლავ ხელთ იგდონ ძალაუფლება პოლონეთში, გაატაროს პროგრამა, რომელიც პოლონელ პატრიოტთა კავშირის პროგრამის ანალოგიურია, ლოიალურად ითანამშრომლოს წითელ არმიასთან პოლონეთის განთავისუფლებისთვის, მოახდინოს პოლონეთის პოლიტიკის კოორდინირება თეირანის, კაიროს და მოსკოვის დეკლარაციებთან. შეუერთდეს საბჭოთა კავშირ-ჩეხიის კავშირს და მოაგვაროს დავა სსრ კავშირთან საზღვრების შესახებ. „იმავე დროს, როდესაც წითელი არმია ვარშავაში შევა, უნდა შეეჭიროს პოლონეთის ახალი მთავრობის წევრთა ნახევარი მაინც იმითვან უნდა შესდგებოდეს, ვინც პოლონეთში დარჩა გერმანელთა ოკუპაციის დროს“.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

ქალაქ ნეველის სამხრეთით გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვის გასარღვევად წარმატებით ჩატარებული ოპერაციისათვის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც თავი ისახელეს ამ ოპერაციაში, წარდგენილ იქნან დასაჯილდოებლად:

წითელი დროშის ორდენით

პოლკოვნიკ ხვეტლიაკოვის 166-ე მსროლელი დივიზია,
გენერალ-მაიორ ვორობიოვის გვარდიის 83-ე მსროლელი დივიზია,
გენერალ-მაიორ რიშიკოვის კარაჩოვის გვარდიის ლენინის ორდენოსანი მე-16 მსროლელი დივიზია,
პოლკოვნიკ ხაიდუკოვის 159-ე სატანკო ბრიგადა,
პოლკოვნიკ კოროჩკინის მე-15 ხაარტილერიო დივიზია,
პოლკოვნიკ ზავიალოვის 403-ე ზარბაზნის ხაარტილერიო პოლკი,
პოდპოლკოვნიკ დოროხოვის გვარდიის 24-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
პოლკოვნიკ კუჩმას ნეველის 211-ე მოიერიშე საავიაციო დივიზია,
პოლკოვნიკ კოშევნიკოვის 308-ე მოიერიშე საავიაციო დივიზია,
პოლკოვნიკ პოლიაკოვსკის მე-10 მოიერიშე საინჟინრო-მესანგრე ბრიგადა.

სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენით

პოლკოვნიკ ჩერნოვის ნეველის 47-ე მსროლელი დივიზია,
გენერალ-მაიორ პეტერსის კარაჩოვის გვარდიის 84-ე მსროლელი დივიზია,
პოლკოვნიკ ბრიკელის გვარდიის მე-6 წითელდროშოვანი საკავალერიო დივიზია,
პოლკოვნიკ კოროტეევის 70-ე სატანკო ბრიგადა,
პოდპოლკოვნიკ ზაკლეპას მოსკოვის გვარდიის მე-6 მოიერიშე საავიაციო პოლკი.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 21 დეკემბერი.

ბრძანებაღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის შენაერთებისა და ნაწილების ორდენებით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა ნამიმუშად შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

წითელი დროშის ორდენით

166-ე მსროლელი დივიზია
გვარდიის 83-ე მსროლელი დივიზია
კარაჩოვის გვარდიის ლენინის ორდენოსანი მე-16 მსროლელი დივიზია
მე-15 ხაარტილერიო დივიზია
ნეველის 211-ე მოიერიშე საავიაციო დივიზია
308-ე მოიერიშე საავიაციო დივიზია
159-ე სატანკო ბრიგადა
403-ე ზარბაზნის ხაარტილერიო პოლკი
გვარდიის 24-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი
მე-10 მოიერიშე საინჟინრო-მესანგრე ბრიგადა

სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენით

ნეველის 47-ე მსროლელი დივიზია
კარაჩოვის გვარდიის 84-ე მსროლელი დივიზია
გვარდიის მე-6 წითელდროშოვანი საკავალერიო დივიზია
70-ე სატანკო ბრიგადა
მოსკოვის გვარდიის მე-6 მოიერიშე საავიაციო პოლკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 21 დეკემბერი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
21 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

21 დეკემბრის განმავლობაში ნეველის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დასახლებული პუნქტები **როსლიპაკი, ვარხი, ბესკაპოვო, ხომეინკი, სმოლოვკა, ჩისტოპოლიე, ზაგუზინე, კოზლოვიჩი, შუტნიცა, კოსოლაპი, ლუშანი, გუსარევა, ვოკუშევო, გრიბალი** და რკინიგზის სადგური **როსლიპაკი.**

ულობინის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე **რაიონში** ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს.

კოროსტენის რაიონში ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების ყველა იერიში და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

კიროვოგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის იერიშებს.

ხერსონის რაიონში ჩვენმა ჯარებმა მოახდინეს **დნეპრის** მარცხენა ნაპირზე გერმანელთა ხიდწინა სიმაგრის სრული ლიკვიდაცია. ამასთან მტერს დიდი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და ხაარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლაა.

20 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 112 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 19 თვითმფრინავი.

* * *

ნეველის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა, რომელნიც ოგერიებდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს და სძლევდნენ მის საინჟინრო-ნაღმად ღობეებს, ბრძოლებით დიკავეს 60 დასახლებული პუნქტი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დაკვლა, მათ შორის 27 ქვემეხი, 26 ნაღმსატყორცანი, 70 ტყვიამფრქვევი და რამდენიმე საწყობი სათარო მასალიანად. სხვა უბანზე გერმანელები ძლიერ ცეცხლოს წინააღმდეგობას უწევდნენ შემტევ საბჭოთა ნაწილებს. ქვეითი ჯარის საბრძოლო წყებებში მოქმედმა ჩვენმა არტილერისტებმა ჩაიტუმეს მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილი. საბჭოთა მებრძოლებმა გაბედული იერიშით ეკუთაქციეს გერმანელები, სდევნეს მათ და დიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ჰიტლერელების მიერ ტანჯვებისა და თვითმფაფალი ქვემეხების დახმარებით არაერთხელ მოტანილ კონტრიერიშებს წარმატება არ მოჰყოლია. ბრძოლებში დღის განმავლობაში საბჭოთა ნაწილებმა გაჟლიტეს 1.600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანეს 14 ტანკი და 10 თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ულობინის სამხრეთ-დასავლეთით მოწინააღმდეგემ იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. გერმანელებმა ვიწრო უბანზე ბრძოლაში გამოიყვანეს ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები და იმედი ჰქონდათ, რომ ერთი დარტყმით გატარნავდნენ საბჭოთა თავდაცვის ხაზებს. ჩვენი ჯარები არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლით შეხვდნენ ჰიტლერელებს. მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა შეუპოვარი ბრძოლები, რომელთა მსვლელობაშიც მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა. საბჭოთა არტილერისტებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 42 ტანკი. გერმანელებმა მარტო მოკლულთა სახით 1.000-მდე თავიანთი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. ზარალი დაჭრილთა სახით ერთიორად-ერთისამად აღემატება დახოცილ ჰიტლერელთა რიცხვს.

* * *

ქალაქ კოროსტენის რაიონში ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების ყველა იერიში. გერმანელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს სამი სატანკო და სამი ქვეითი დივიზიის ნაწილები, მაგრამ ისინი ყველა სახის იერიშის კონცენტრირებულ ცეცხლს წაეფყლნენ და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მალე მოწინააღმდეგემ გაიმეორა იერიში, მაგრამ ვერც ამჯერად მიაღწია წარმატებას. ნაშუადღევს გერმანელებმა „ვეფხვის“ ტიპის ტანკებით გაალეწერეს თავიანთი შემმტევი ნაწილები და ერთხელ კიდევ სცადეს გაერღვიათ საბჭოთა ჯარების თავდაცვითი ხაზები. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა, რომლის მსვლელობაშიც ცალკეული დასახლებული პუნქტები რამდენჯერმე გადაეოდა ხელიდან ხელში. დღის ბოლოს ჩვენმა ჯარებმა უკან დაახვევინეს მტერს და აღადგინეს მდგომარეობა. მარტო ერთი დასახლებული პუნქტის მისადგომებზე დათვლილია ჰიტლერელთა 500-ზე მეტი გვამი. ჩვენი არტილერიისა და ჯავშან-მტვრეველთა ცეცხლით დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 24 ტანკი, 8 თვითმავალი ქვემეხი და 50-ზე მეტი ავტომანქანა.

* * *

კიროვოგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს დაეკავებინათ დიდი მნიშვნელობის მქონე ძალლობი. მოგერიებულია მტრის ყველა იერიში. ამ მაღლობის მისადგომებზე მოსპობილია გერმანელთა სულ ცოტა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი, დაზიანებულია 7 ტანკი, 3 ჯავშანმანქანა და 3 თვითმავალი ქვემეხი. სხვა რაიონში 6 ნაწილის მებრძოლებმა გაბედული იერიშით დიკავეს მოწინააღმდეგის პოზიციები. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 2 ვარგისი ტანკი, ხაარტილერიო ბატარია, 6 მსხვილყალიბიანი ნაღმსატყორცანი და ხიმარი მასალის საწყობი. წამოყენილია ტყვეები.

* * *

ხერსონის რაიონში ჩვენმა ჯარებმა მოახდინეს დნეპრის მარცხენა ნაპირზე მტრის პლაცდარმის სრული ლიკვიდაცია. საბჭოთა ნაწილებმა სწრაფი დარტყმით გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და გარეკეს ისინი ქალაქში მდინარე კონკის გაღმა. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გონს მოხვლის საშუალება არ მისცეს მტერს, გადალახეს ეს მდინარე და დნეპრთან მიიწევდიეს გერმანელები. გაფთრებულ ბრძოლებში მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. მარტო გვარდიის 6 ნაწილის მებრძოლებმა სამი დღის ბრძოლების დროს მოსპეს 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებულია 21 ტანკი, 30 საველე და 2 თვითმავალი ქვემეხი, წამოღებულია სხვადასხვა ყალიბის 46 ქვემეხი. სხვა უბნებზე მოწინააღმდეგეს კიდევ უფრო მძიმე ზარალი მოუვიდა. ხელთ ვიგდეთ დიდი დაკვლა და ბევრი ტყვე.

* * *

ბელოსტოკის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა ამ უკანასკნელ ხანს ახალ წარმატებებს მიაღწია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა პატრიოტებმა დაანგრიეს 13 კილომეტრი სარკინიგზო ეკაისი და ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 10 სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დაიმსხვრა 9 ორთქლმავალი, 108 ვაგონი და 15 პლატფორმა სამხედრო ტვირთიანად. ბელოსტოკელმა პარტიზანებმა მოწინააღმდეგესთან ბრძოლებში მოსპეს 400-ზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

ქვემოთ ჩვენდება აქტი გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ კიევის ოლქის ქ. კაგანოვიჩში (ხაბნოე) ჩადენილ მხეცობათა შესახებ: „ოკუპაციის პირველი დღეებიდან მოკიდებულო, გერმანელები შეუდგნენ ქალაქისა და რაიონის მშვიდობიანი მოსახლეობის ყლეტას. ფაშიტი მტარვალები არ ინდობდნენ არც მოხუცებს, არც ქალებს, არც ბავშვებს. ჰიტლერელები ყლეტდნენ პირწმიდად მთელ ოჯახებს. ანა ათანასესასულ პტრენკოს თვალწინ გერმანელებმა ცოცხლად ჩამარხეს მიწაში მისი შვილები— 4 წლის ვალერიკი და 6 წლის ვალოდია. სოფელ მლაჩევკის კოლმეურნე ნიკიტენკო გესტაპოელებმა რეზინის ჯოხების ცემით მოჰკლეს. სტამბის ბუშა მ. სოკოლი წამებისაგან მოკვდა. გესტაპოელების მიერ წამებულმა ექიმმა სიროშმა სიკვდილის წინ დაუყვირა ჯალათებს: „ჩვენი სამშობლო შურს იძიებს თქვენზე, წყეულ მკვლელებზე“. სულ რაიონის ოკუპაციის განმავლობაში გერმანელებმა დახვრიტეს ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. არასრული ცნობებით, ჰიტლერელებმა კატორღაში ვარაკიეს გერმანიაში ქალაქ კაგანოვიჩისა და ახლომახლო სოფლების 3 ათასზე მეტი მცხოვრები. ამ საშინელ ბოროტმოქმედებათა ძთავარ დამნაშავეებად მიგვაჩნია ჰიულაიტერი ფერეიდგერი, მისი მოადგილე შმიდგი, გერმანელი კომენდანტი იაკობი და სოლქო მეურნეობის უფროსის მოადგილე ფილში“.

ოქტ ხელს აწერენ ქალაქ კაგანოვიჩის მცხოვრებნი: ა. კრალიკი, ა. პეტრენკო, ი. პოზნოლანი, გ. ეშოკი, ნ. ბელკო, ტ. ზამოლა, ს. ბელკო, ნ. ნედოშკოვსკი, გ. ლატჩენკო და მაიორი ე. ვოსტოკოვი.

სირ-დარია ახალ ქალაქოვში ჩაიგდა

19 დეკემბერი უზბეკეთის ინდუსტრიალიზაციის ისტორიაში შევა როგორც ღირსშესანიშნავი და სახელოვანი თარიღი. ამ დღეს ფარხადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს: შუა აზიის დიდი მდინარე ახალ ქალაქოვში გაუშვეს.

ფარხადის ჰესის მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი — სირ-დარიის გადაკეტვა — დამთავრდა ტრაქტეზე კოლმეურნეთა მასობრივი გამოსვლის 10 თვის შემდეგ. აფეთქება ზღუდარისა, რომელიც არხს სირ-დარიისაგან ჰყოფდა, ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქცა. ფარხადმშენებლებმა მიტინგებზე ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ მზად არიან ფრონტულად შეასრულონ ამხანაგ სტალინის დავალება და დადგენილ ვადაზე ჩაამარონ ჰიდროელექტროსადგური (საკდესი).

წითელი არმიის გენერლების, ოფიცრებისა და მებრძოლების დაჯილდოება ჩეხოსლოვაკიის ორდენებითა და მედლებით

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში საბრძოლო დამსახურებისათვის და სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ნაწილების ფორმირებისა და საბრძოლო მომზადებაში ხელშეწყობისათვის ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა წითელი არმიის შემდეგი გენერლები, ოფიცრები და მებრძოლები:

ორდენით „ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ჯვარი 1939 წლისა“ დაჯილდოებული არიან: საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი, არმიის გენერალი ნ. ფ. ვატუტინი, არმიის გენერალი ა. ვ. ხრულევი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ი. გოლიკოვი, გენერალ-პოლკოვნიკი კ. ხ. მოსკალენკო, გენერალ-ლეიტენანტი დ. ტ. კოზლოვი, გენერალ-ლეიტენანტი პ. ხ. რიბალკო, სახელმწიფო უშიშროების კომისარი გ. ხ. ჟუკოვი, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ა. პ. ბანფილოვი, გენერალ-მაიორი გ. მ. ზაიცევი, გენერალ-მაიორი პ. მ. შაფარენკო, გენერალ-მაიორი ვ. ნ. ევსტიგნეევი, გენერალ-მაიორი ა. პ. პილიპენკო, გენერალ-მაიორი პ. პ. ავდეენკო, გენერალ-მაიორი ა. ი. ბარინოვი, სანტენდანტო სამსახურის გენერალ-მაიორი ს. ვ. აგინსკი, გვარდიის პოლკოვნიკი გ. ნ. ეგოროვი, გვარდიის პოლკოვნიკი კ. ვ. ბილიუტინი, პოლკოვნიკი ლ. ზ. პეკზნერი, პოლკოვნიკი დ. ა. ფედოროვი, პოლკოვნიკი კ. გ. ზაგოსკინი, სატანკო ჯარების მაიორი მ. პ. ჩუგუნოვი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი პ. ი. კამბულოვი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ლ. პ. ალექსანდროვი, გვარდიის კაპიტანი ი. ა. გონჩარენკო, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ი. ტ. მიშინი, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ვ. ნ. ტოკარენკო, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ი. ხ. ბოდრიადინი, ლეიტენანტი ნ. ა. მუტლი, გვარდიის წითელარმიელი ფ. ვ. ვინოგრადოვი, გვარდიის წითელარმიელი ვ. ე. ვოლჩიხინი, გვარდიის წითელარმიელი ა. გ. ილიუხინი.

ჩეხოსლოვაკიის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოებული არიან: გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ა. ი. სტეპანოვი, ზემდეგი მ. ი. ჩუბაროვი, გვარდიის უფროსი სერჟანტი ა. მ. ზარიახინი, გვარდიის სერჟანტი ლ. ა. ხავინოვი, სერჟანტი ვ. მ. კილიკი.

20 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბ-ნმა ბენეშმა პირადად გადასცა „ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ჯვარი 1939 წლისა“ სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის რწმენებულ ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ნაწილების ფორმირების დარგში სახელმწიფო უშიშროების კომისარ გ. ს. ფუტერნა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო უფლებამოსილთა განყოფილების უფროსს გენერალ-მაიორ ვ. ნ. ევსტიგნეევს.

ორივეიანურ დასარიგენ დაჯილდოებულნი მოსკოვში არ იმყოფებიან, მაგრამ მენეშმა ჩეხოსლოვაკიის ორდენები და მედლები გადასცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ვ. მ. მოლოტოვს დაჯილდოებულთათვის შემდეგში გადასაცემად.

ორდენების ჩაბარებისა და გადაცემის ცერემონიას კრემლში საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნ. ი. ნატალევიჩი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის მთავ

მთელი საბჭოთა ხალხი იწონებს სამხედრო ტრიბუნალის განაჩენს

სიკვდილი გერმანელ ჯალათებს!

ოქტომბრის რკინიგზაზე გუშინ საორთქლმავლო დეპო „სტალინსკიე მაატერსკიეში“ გაცხოველებით იხილავდნენ სამხედრო ტრიბუნალის განაჩენს გერმანელ ფაშისტ მკვლელთა საქმეზე. ლოკომოტივების წამყვანნი, მეცეცხლურნი, საწარმოო საამქროთა მუშები, ინჟინერები, ტექნიკოსები, მოსამსახურეები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ცნობას ითბოლოამშადის სიკვდილით დასჯის შესახებ.

— დამთავრებულმა ხარკოვის სასამართლო პროცესმა ერთხელ კიდევ დაანახვა მთელ მსოფლიოს გერმანული ფაშიზმის მხეცური ბუნება, — განაცხადა მემანქანე კოსმაჩოვმა.— ჰიტლერელები გამოაშკარავებული არიან როგორც უდიდესი დამნაშავენი, რომელთა ულმობელობამ და ურჯულოობამ გადააჭარბა ყოველივე იმას, რაც ცნობილი იყო ამ ქვეყნად ბარბაროსობის შესახებ. საბჭოთა მართლმსაჯულება, რომელმაც ამჟამად ოთხი ავაზაკი შეიპყრო, დაუნდობლად დასჯის ყველას, ვინც უმანკო მსხვერპლთა სისხლით მორწყო საბჭოთა მიწა-წყალი. სიკვდილი გერმანელ ჯალათებს! (საკდესი).

საქართველოს მშრომელნი ერთსულოვნად მიესალმებიან განაჩენს

თბილისის თამბაქოს ფაბრიკის ყველა საამქროში მესაუბრეებმა, წამკითხველებმა დაგიტატორებმა ჩაატარეს საუბრები ქალ. ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის ტერიტორიაზე მათი დროებითი ოკუპაციის პერიოდში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მხეცობის შესახებ სასამართლოს პროცესის მასალების მიხედვით. საბჭოთა სამსჯავროს წინაშე წამდგარი გერმანელი ფაშისტ მახინჯებისადმი აღშფოთებას, ბრისხანებისა და ზიზღის გრძნობა შეუერთდა გერმანელ ბოროტმოქმედთადმი შურისგებით გამოწვეული უდიდესი კმაყოფილების გრძნობას. ფაბრიკის საკოლოფე საამქროს აგიტატორმა ამხ. ე. ნაზარეტიანმა მუშა ქალებს წაუკითხა სასამართლო პროცესის მასალები.

ყველა მუშა ქალის აზრი გამოხატა ამხ. ადამიამ:

— ათასი წყევლა-კრულვა, — განაცხადა ამან, — ქვეწარმავალთ, რომელთაც ჩვენს ქვეყანაში მოიტანეს სიკვდილი და განადგურება. საბჭოთა სასამართლომ მთელი მსოფლიოს წინაშე გამოამჟღავნა ფაშისტ მკვლელთა ნამდვილი მხეცური სახე. დიდ ხანს ლოდინი არ მოგვიხდება, როდესაც მთელი კაცობრიობის სამსჯავროს წინაშე წარსდგება ამ მკვლელთა სულისჩამდგმელიც — წყეული ჰიტლერი თავისი ბანდიანად. ჩვენი სტახანოვური შრომით უნდა დავაჩქაროთ, მოვაახლოოთ გამარჯვებისა და შურისგების ეს ნანატრი ჟამი.

• • •

ბათუმი, 21 დეკემბერი. აბერის მშრომელნი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ უკრაინის მე-4 ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენს ხარკოვის და ხარკოვის ოლქში მათი დროებითი ოკუპაციის პერიოდში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილ მხეცობათა საქმეზე.

ბათუმის რკინიგზის კვანძის ყველა საამქროსა და უბანში გაიმართა კითხვა და საუბრები, რომლებიც მიეძღვნა ხარკოვის პროცესის შედეგებს. აგიტატორმა ინჟინერმა თოფურიამ თავის საუბარში განაცხადა:

— იმ მხეცობათა ფაქტები, რასაც ჰიტლერელი კაციჭამიები სჩადიოდნენ მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების მიმართ, საშინელია. გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა დამსახურებული სასჯელი მიიღეს. მაშაკი წითელი არმია, მიიწევს რა წინ დასავლეთისაკენ, გერმანელი ყაჩაღებისაგან სწმენდს წმიდა საბჭოთა მიწა-წყალს. ჩვენი ვალია თავდადებული შრომით დავაჩქაროთ პირსისხლიანი ჰიტლერელი ბანდიტებისათვის სამაგიეროს გადახდის ჟამი.

მსმენელებმა ერთსულოვნად გამოხატეს თავიანთი კმაყოფილება ჰიტლერელი არამზადების მოსპობის გამო.

გარეწრებს ადგილი არა აქვთ ცივილიზებულ საზოგადოებაში

სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი გერმანელ ჯალათთა ჯგუფზე საბჭოთა სასამართლოს სამართლიანი და ერთადერთი წარმოსადგენი გადაწყვეტილებაა. ეს გადაწყვეტილება ასახავს იმ გრძნობებსა და სურვილებს, რომლებმაც მოიცვა ჩვენი ქვეყანა ბოროტების დღეებში. ჩვენ ძალიან ბევრი რამ ვიცოდით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სისტლიან ბოროტმოქმედებაზე, მაგრამ ის, რაც ხარკოვის პროცესმა გამოავლინა, ბევრად სჭარბობს ყოველივე გაგონილსა და ნახულს.

საჭიროა ულმობლად ვეძებოთ ფაშისტი გარეწრები. მათ ადგილი არა აქვთ ცივილიზებულ საზოგადოებაში. მათთვის ყველაზე შესაფერი ადგილი სახრჩობელაა. თანამედროვე კაცობრიობა მხოლოდ მაშინ ამოისუნთქებს თავისუფლად, როდესაც მეცხრა სასჯელი დაეწევა უკანასკნელ ფაშისტ ყაჩაღს, ბაიშის მკვლელსა და ბარბაროსს.

კომპოზიტორი ნ. ი. მიასკოვსკი,
სტალინური პრემიისლაურეატი.
(საკდესი).

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლთა და ოფიცერთა ოჯახებისადმი დახმარების მეორე კვირეულის შედეგები

შეჯამებულია შედეგები წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლთა და ოფიცერთა ოჯახებისადმი დახმარების მეორე კვირეულისა, რომელიც ჩატარდა საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში.

საქართველოს მშრომელებმა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისადმი დახმარების ფონდისათვის შეაგროვეს 6.941.231 მანეთი, რაც 5.702.916 მანეთით აღემატება ფულად თანხას, შეგროვებულს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისადმი დახმარების პირველი კვირეულის განმავლობაში 1943 წლის თებერვალში.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისადმი დახმარების ფონდში საქართველოს მშრომელებისაგან შემოვიდა 1.992,3 ტონა საკვები პროდუქტები, მაშინ როდესაც პირველი კვირეულის განმავლობაში შეგროვებულ იქნა 602 ტონა.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისადმი დახმარების ფონდში შემოსულ საკვებ პროდუქტებს შორის ხორცეული ჩაბარებულია — 602.1 ტონა, სიმინდი—795,8 ტონა, ქერი — 61.8 ტონა, ლობიო—51.6 ტონა, კარტოფილი—238.2 ტონა, ყველი—9,7 ტონა, ერბოკარაქი—1.961 კილოგრამი, თაფლი—119 კილოგრამი, ხილი და კაკალი—21,4 ტონა, მზისუმზირა—15.5 ტონა, სხვადასხვა წნილი და ბოსტნეული—149,5 ტონა და სხვ.

კვირეულის განმავლობაში შეგროვებული საკვები პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დაირიგდა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

საქართველოს მშრომელებმა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეაგროვეს დიდძალი ტანსამოსი, ფეხსაცმელი, საოჯახო ნივთები. მათ შორის—ფეხსაცმელი 3.094 წყვილი, ტანსამოსი—5.945 ცალი, თბილი ნივთი—735 ცალი, თეთრეული—62 წყვილი, მატყლი—910 კილოგრამი, სარეცხი საპონი—425 ნაჭერი, საოჯახო ნივთები—6.348 ცალი.

გარდა ამისა, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს მიეცათ სხვადასხვა სამრეწველო საქონელი სულ 28.912 მანეთის ღირებულებისა.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს კვირეულის განმავლობაში მიეცათ 103 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვი, 1.276 ფრთა შინაური ფრინველი. იმ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებმა, რომელთაც პირუტყვი მოეპოვებათ, მიიღეს სხვადასხვა საკვები 561 ტონის რაოდენობით. სამხედრო მოსამსახურეთა 952 ოჯახს დახმარება გაეწია მოსავლის აღებაში, საკარმიდამო მეურნეობათა წესრიგზე მოყვანაში. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს მიეცათ სამი ტონა თესლი.

მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ფრონტელთა ოჯახების საბინაო-ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესებისათვის. შეკეთებულ იქნა 2.936 ბინა, სამხედრო მოსამსახურეთა 94 ოჯახს მიეცა ახალი ბინები, დაიწყო 30 ახალი სახლის მშენებლობა ფრონტელთა ოჯახებისათვის. 257 ოჯახს მიეცა სხვადასხვა სამშენებლო მასალა ბინების შესაკეთებლად. ფრონტელთა ოჯახებისათვის შეგროვებულია 91.692 კუბური მეტრი შეშა, 152,9 ტონა ქვანახშირი, 30 ტონა ნავთი.

დახმარების კვირეულის განმავლობაში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს მნიშვნელოვანი დახმარება გაეწიათ ფრონტელთა ბავშვების სანაირო სახლებში, სანავშვო ბაღებსა და ბაგებში მოწყობის მხრივ. ბევრ მოწყობილ—ფრონტელთა შვილებს მიეცა სანწავლო სახელმძღვანელოები. (საკდესი).

გუმბრინელებმა შეასრულეს წლიური გეგმა

გუმბრინის მემაღაროელთა კოლექტივმა გუმბრინის ამოღების წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. გრძელდება გუმბრინის ამოღება გეგმის გადამეტებით.

საქ. გუმბრინის წარმოების დირექტორი — დ. ჩიტიძე

საბჭოთა კავშირის გმირი ნ. ზ. ბერია



ქერჩის ნახევარკუნძულზე ამას წინათ წარმოებულ სადესანტო ბრძოლებში თავი გამოიჩინა გვარდიის წითელარმიელმა მეავტომატე ნიკოლოზ ტიტეს-ძე (დიტოს-ძე) ბერიამ, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 17 ნოემბრის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და შედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

ნ. ტ. ბერია ერთი-ერთი პირველთაგანი გადავიდა ყირიმის მიწაზე და თავის მებრძოლ ამხანაგებთან ერთად სასახელოდ შეასრულა სარდლობის მიერ დასახული ამოცანა. სადესანტო ოპერაციების პირველ დღესვე ნ. ბერიამ თავის ამხანაგებთან — საბჭოთა კავშირის გმირებთან დიმიტრი გერასიმოვთან, ვლადიმერ პასიუკოვთან, მიხეილ პლუგარევთან და სხვებთან ერთად კატერიდან გადასვლისთანავე ავტომატების გრიგალისებური ცეცხლით შესძლო აეღო და ჩვენი დამხმარე სადესანტო ძირითადი ძალების მისვლამდე შეენარჩუნებინა ჰატარა პლაცდარმი ზღვის სანაპიროზე, რომელიც შემდეგ თანდათანობით გაფართოებულ იქნა და საბჭოთა ჯარების დიდ პლაცდარმად გადაიქცა.

გვარდიის წითელარმიელი ნიკოლოზ ბერია დიდი ხანი არ არის, რაც მშობლიური წითელი არმიის რიგებშია. იგი გაწვეულ იქნა 1943 წლის თებერვალში. სამხედრო წრთობის დროს ნ. ბერიამ გამოიჩინა განსაკუთრებული უნარი და იგი ჩარიცხულ იქნა გვარდიულ ნაწილში. ნაწილში ჩარიცხვის თითქმის პირველი დღეებიდანვე ნიკოლოზ ბერია სიცოცხლის დაუზოგავად იბრძვის გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. სამშობლოსათვის ბრძოლებში იგი ორჯერ დაიჭრა. ჰოსპიტლებში მას ძლივს გაჯერებდნენ ხოლმე ჭრილობების მოშუშებამდე, იგი სწრაფად ბრუნდებოდა ბრძოლის ველზე. უკანასკნელ ოპერაციებში იგი მესამედ დაიჭრა ქერჩის ნახევარკუნძულზე წარმოებულ ბრძოლებში, მაგრამ მას ბრძოლის ველი არ მიუტოვებია და უკანასკნელ ძალღონემდე იბრძოდა. ბრძოლის ველიდან იგი გაიყვანეს მხოლოდ გრძნობის დაკარგვის შემდეგ. აღნიშნულ სადესანტო ოპერაციებში ნ. ბერიამ მის მებრძოლ ამხანაგებთან ერთად მტრის მრავალი ათეული ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა. მათ მოსპეს მტრის 2 ძელმიწური საცეცხლე წერტი, სატყვიამფრქვევო წერტი, გრანატებით მოჰკლეს 2 გერმანელი სნაიპერი, რომლებიც აფერხებდნენ ჩვენი ნაწილების წინსვლას, იერიშით აიღეს ერთი მაღლობი, დაანიანეს 3 ავტომანქანა, 1 ქვემეხი და ა. შ.

ნ. ტ. ბერია დაიბადა 1925 წელს სოხუმის რაიონის სოფელ ეკატერინოვკაში, მწყემსის ოჯახში. სამუალო განათლება მიიღო ქალაქ სოხუმის მე-10 საშუალო სკოლაში. წითელი არმიის რიგებში გაწვევამდე იგი მუშაობდა სოფლის მეურნეობაში.

ზ. მერკვილაძე

საბჭოთა კავშირის გმირის ნ. ზ. ბერიას შეხვედრა თანასოფლელებთან

სოხუმი („კომუნისტის“ კორ.). საბჭოთა კავშირის გმირი ნ. ტ. ბერია მცირე ხნით ეწვია თავის თანასოფლელებს, სოხუმის რაიონის სოფ. კონსტანტინოვკის კოლმეურნეებს.

21 დეკემბერს სოფელში შესდგა გმირის ჩამოსვლისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელსაც კოლმეურნეობა „წითელი მებაღის“ და მახლობელი სოფლების 700-ზე მეტი კოლმეურნე დაესწრო. მიტინგი გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. კობოლტმა, რომელმაც აღნიშნა კოლმეურნეთა საერთო აღფრთოვანება იმის გამო, რომ მათს თანასოფლელს ნ. ბერიას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

ნ. ბერიას საბრძოლო epizodebi შეკრებილთ გააცნო რაიონული გაზეთის რედაქტორმა ნ. კვირტაიმ. მშრომელებს სიტყვით მიმართა ამხ. ნ. ბერიამ.

— როდესაც არმიაში მაცილებდით, — სთქვა მან,—თქვენ დამავალეთ მამაცურად ებრძოლა მტრის წინააღმდეგ სამშობლოსათვის. მე ვასრულებ თქვენს დავალებას. მომავალში შევეცდები ასევე წარმატებით შევასრულო ეს დავალება. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი მაწა-წყლის სრული განთავისუფლებისათვის.

სიტყვებით გამოსულმა კოლმეურნე ქალმა პ ვასილენკომ, კოლმეურნეებმა გოგუამ, ჰასხალოვმა და რუჭმა განაცხადეს, რომ პატარიკა და მთავრობის მიერ მათი თანასოფლელის საბრძოლო მამაცობის ასეთი მაღალი შეფასება მეტ თავდადებას მოითხოვს მთავან შრომის ფრონტზე. მათ სიტყვა მისცეს გმირს და გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება და დაიჭარონ მტრის საბოლოო განადგურება.

დეპეშები

საბერძნეთის მეფის წერილი საბერძნეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრისადმი

ლონდონი, 17 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კაიროელი კორესპონდენტი მარტინი გადმოგვცემს, საბერძნეთის მეფე გეორგმა პრემიერ-მინისტრ ცუდეროსისადმი გაგზავნილ წერილში განაცხადა, რომ, როდესაც დადგება დიდი ხნის ნანატრი ჟამი განთავისუფლებისა, მეფე „გადასინჯავს საბერძნეთში თავისი დაბრუნების საკითხს პოლიტიკური და სამხედრო პირობების თვალსაზრისით, იხელმძღვანელებს რა ამასთან ნაციონალური ინტერესებით“.

ბერძნული გაზეთი „ელასი“, რომელიც ლონდონში გამოდის, კომენტარს უკეთებს საბერძნეთის მეფის წერილს, რომელიც კაიროში გამოქვეყნდა, და სწერს: „მეფის ეს განცხადება შეესაბამება პოლიტიკურ პარტიათა და აქტიური წინააღმდეგობის ლიდერთა მოთხოვნებს, რომელნიც, როგორც ცნობილია, დაეინებით მოიოხოვენ, რომ მეფე არ დაბრუნდეს საბერძნეთში, სანამ ბერძენი ხალხი პლებისციტით არ გადასწყვეტს საკითხს საბერძნეთის მომავალი კონსტიტუციის ხასიათის შესახებ“.

ჩრდილოეთ აფრიკაში დაეპატიმრეს ფრანდენი. პეტრუზონი და ბუასონი

ლონდონი, 21 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის საგენტო ალჟირიდან გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ბრძანებით დაპატიმრებული არიან სფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი პიერ-ეტიენ ფლანდენი, ალჟირის ყოფილი გუბერნატორი მარსელ პეირუტონი და საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი პიერ ბუასონი. ყველა ისინი მოთავსებული არიან ალჟირის სამხედრო საპყრობილეში. აქამდე ისინი შინაურ პატიმრობაში იყვნენ.

საბჭოთა საქართველოში

ახალი შრომითი აღმავლობა

ფოთელწყაროს („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). ფოთელწყაროს მტს-ის (დირექტორი ა. ბიწაძე) კოლექტივმა დიდი სტალინის ისტორიულ მოხსენებასთან დაკავშირებით გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე სატრაქტორო სამუშაოთა 1943 წლის გეგმა 10 დეკემბრისათვის 104,2 პროცენტით შეასრულა, —რბილ ხვნაზე გადაყვანთან ნაცვლად 21.260 ჰექტარისა დაამუშავა 22.163 ჰექტარი. სამეზობლო ხვნის გეგმა შესრულებულია 129 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.970 ჰექტარისა მოხნულია 6.423 ჰექტარი.

მეცხრე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ილ. ბაუმი) წლიური გეგმა 145,5 პროცენტით შეასრულა და დაზოგა 500 კილოგრამამდე საწვავ-საცხები მასალა, მე-16 ბრიგადამ (ბრიგადირი ა. კუზნიჩევი) გეგმა შეასრულა 128 პროცენტით, ბრიგადამ (ბრიგადირი ილ. ბაუმი) გეგმა 117 პროცენტით შეასრულა და 1.059 კილოგრამი საწვავ-საცხები მასალა დაზოგა, მე-3 ბრიგადამ კი (ბრიგადირი გ. ბენაშვილი) გეგმა შეასრულა 105, 8 პროცენტით და 224 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს ახალგაზრდა ტრაქტორისტებმა: ლენა ტრუფანოვამ (გეგმა შეასრულა 210,8 პროცენტით), ჯ. ნეპარტოვამ (გეგმა შეასრულა 150 პროცენტით), პ. ბაგროვმა და რ. ზნიჩენკომ.

მტს-ის კოლექტივი ახლა გაცხოველებით აწარმოებს მზრალად ხვნას და ტრაქტორების საზამთრო რემონტს. უკვე შეკეთებულია 14 ტრაქტორი.

შ. მოლაშვილი

მოწინავენი სიგრუსოვანთა ნაყოფის კრეფაში

ქობულეთის რაიონის სოფ. აჭყვის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრები სოციშეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლით და ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებით უპასუხებენ ხალხთა საყვარელი ბელადის, გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებას და გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებს. კოლმეურნეობამ ციტრუსთა ნაყოფის კრეფის გეგმა ვადაზე ადრე 102,8 პროცენტით შეასრულა, 58,4 ტონის ნაცვლად მოჰკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 60 ტონა მანდარინის ნაყოფი. კოლმეურნეობა გეგმის ვადამეტებით აბარებს სახელმწიფოს 5 ტონა მანდარინს, 5.000 ცალ ფორთოხალს და 4.000 ცალ ლიმონს.

№ 1 ბრიგადამ, რომელსაც ხრისტო მურიციდი ხელმძღვანელობს, ციტრუსების კრეფის გეგმა ვადამდე შეასრულა, შემდეგ კი გეგმის გადამეტებით მოჰკრიფა 2 ტონა მანდარინის ნაყოფი, 1.000 ცალი ლიმონი და 1.000 ცალი ფორთოხალი. ასევე დიდი გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსების ნაყოფის კრეფის გეგმა № 2 ბრიგადამ (ხელმძღვანელი ფილიმე ელანიდი). მანდარინის კრეფაში თავი ისახელეს სტახანოველებმა: ნიკოლოზ სპირიდომ, ივანე კურტოვმა, ოლგა ორახოვმა, ფენია ლაზარიდმ, რომლებიც ყოველდღიურად კრეფის 3.4 ნორმას ასრულებენ.

ციტრუსების ნაყოფის მოსავლის აღებასთან ერთად კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ტუნგოს ნაყოფის მოსავლის აღება და სხვა სასოფლო-სამეურნეო საშუშაოები. ჰლანტაციების კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად წელს კოლმეურნეობა სახელმწიფოს აბარებს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ტონისა, 20 ტონა ტუნგოს ნაყოფს. ტუნგოს ნაყოფის კრეფა წარმატებით მიმდინარეობს.

ალ. ახალაძე

ციგრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმის შესრულება

ბათუმის რაიონმა 17 დეკემბრისათვის შეასრულა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 94.763.000 ცალის ნაცვლად დამზადებულია 94.931.600 ცალი ნაყოფი, გეგმის 101 პროცენტი. დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი სანიკიძე

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). ცხაკაიას რაიონმა 10 დეკემბრისათვის 125 პროცენტით შეასრულა მანდარინის დამზადების წლიური გეგმა. მანდარინის დამზადება გრძელდება. კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე შეასრულეს ადრეთვე სახელმწიფოსათვის სოიას ჩაბარების გეგმა. ჩაბარებულია 552.8 ტონა სოია.

ს. კუშაია

ჯუვიავის ყირღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები

ს. მაკალათიას მიერ 1938 და 1940 წ. წ. ჩატარებული გათხრები სოფ. ტყვიავში, პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირას, საინტერესო აღმოჩენას წარმოადგენს. ამ ყორღანების შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, რომ ტყვიავის ყორღანები თავიანთი ფორმით, დასაფლავების რიტუალით და ინვენტარით მიეკუთვნებიან უძველესი ტიპის ყორღანთა ჯგუფს, სახელდობრ ადრეული ბრინჯაოს პერიოდს — ენეოლითს, რომელსაც ავტორი ათარიღებს 2.500 წ. ძვ. წელთაღრიცხვით.

ამ გათხრების მასალები მოთავსებულია სერგი მაკალათიას წიგნში „ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები“, რომელიც გამოსცა გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა.

წიგნს დართული აქვს 34 სურ. და 13 ტაბულა, რედაქტორის პროფ. ბ. კუფტინის და ავტორის წინასიტყვაობები და რეზიუმე რუსულსა და ინგლისურ ენებზე. წიგნი შეიცავს 65 გვ. და ღირს 40 მან.

ს. ფლორი და ა. ლილიენგალი თბილისში

ამ ეამად თბილისში იმყოფებიან ცნობილი ზეზოსლოვაკი მოჭადრაკე გროსმაისტერი ს. ფლორი და მოსკოველი გროსმეისტერი ა. ლილიენტალი, რომლებმაც ერთდროული თამაშის სეანსები მოაწყეს თბილისსა და სხვა ქალაქებში. ისინი ერთდროული თამაშის სეანსებით გამოვიდნენ აგრეთვე თბილისის ჰოსპიტლებში.

განსაკუთრებული ინტერესით ჩატარდა გროსმაისტერების ფამოსვლა თბილისელ პირველი კატეგორიის მოჭადრაკეებთან ერთდროული თამაშის ნენსში მონაწილეობდა პირველი კატეგორიის 10 მოჭადრაკე. თამაშში მიმდინარეობდა ამგვარად: პირველ სკლას აკეთებდა ფლორი, ხოლო მეორეს ლილიენტალი და ა. შ. (ალტერნატული სისტემა). სეანსი დამთავრდა გროსმაისტერთა გამარჯვებით, ანგარიშით 9½ : ½, ერთი პარტია პირველი კატეგორიის მოჭადრაკემ ბლაგიძემ ფრედ დამთავრა.

თელავის თეატრში

თელავი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა ახალგაზრდა რეჟისორის ვ. ბოკორიშვილის შემოქმედების დათვალიერება. გასინჯულ იქნა მისი დადგმა „მარკიტანტსა სიგარეტ“.

პიესის გასინჯვას დაესწრნენ ახალგაზრდა რეჟისორთა შემოქმედების დათვალიერების რესპუბლიკური კომისიის წარმომადგენლები ამხ. შ. კილოსანიძე და ვ. ყუშიტაშვილი.

სპექტაკლი წარმატებით ჩატარდა. თათბირზე განხილული იყო რეჟისორის მუშაობა. სიტყვებით გამოვიდნენ შ. კილოსანიძე, ვ. ყუშიტაშვილი, ვ. ბოკორიშვილი, პ. ახვლედიანი, გ. მამუჩიშვილი და ვ. პაპაიანი.

ხ. ძოწლაძე

ლექციები და მოხსენებები

24 დეკემბერს, ხალამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიონის პარტკაბინეტში (ბელანოვის პრსპ. 63) შესდგება ამხ. კიზირიას ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „ამხანაგ სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის მოხსენება საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების პროგრამაა“. შესვლა თავისუფალია.

გაზეთ „კომუნისტის“ პრესის კაბინეტში

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში (ლენინის ქ. № 28, IV სართული), პრესის კაბინეტში ძარეული პრესის მუშაკებისათვის ტარდება კონსულტაციები კვირაში სამჯერ: ორშაბათით, ოთხშაბათით და პარასკევობით საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე.

ალ. ყაზბეგის ხსოვნის საღამო

23 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, მწერალთა სასახლეში შესდგება ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. მოხსენებას თემაზე: „ალ. ყაზბეგის შემოქმედება“ გააკეთებს დ. შენგელაია, ხოლო მოხსენებას თემაზე „ალ. ყაზბეგი და ქართული თეატრი“—ი. გრიშაშვილი.

ალ. ყაზბეგისადმი მიძღვნილ ლექსებსა და სიტყვებს წარმოსთქვამენ მწერლები და პოეტები. ალ. ყაზბეგის ნაწარმოებების ნაწყვეტებს წაიკითხავენ აკ. ხორავა, ნ. ლაფაჩი, შ. ლაშაშიძე, პ. კობახიძე.

შესვლა თავისუფალია.

შეჯიბრება ქალთბურთში

თბილისში დამთავრდა საქართველოს სსრ ქალთბურთელთა გუნდების შეჯიბრება ბტალინური კონსტიტუციის სახელობის ჯილდოზე. შეჯიბრება რამდენიმე დღეს გაგრძელდა და დამთავრდა თბილისის წითელი არმიის საოლქო სახლის გუნდის გამარჯვებით. ეს გუნდი საქართველოს ქალთბურთელთა შორის უძლიერეს კოლექტივად ითვლება. სტალინური კონსტიტუციის სახელობის ჯილდო გასულ წელსაც ამ გუნდმა მოიგო. შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა ქუთაისის „დინამომ“, ხოლო მესამე—თბილისის „ლოკომოტივმა“.

ახალი საკოლმეურნეო ბაზარი

26 კომისრის სახელობის რაიონში იხსნება ახალი საკოლმეურნეო ბაზარი ახლომდებარე საწარმოთა მუშების მომსახურებისათვის. უკვე დამთავრებულია 6 ფარდულის მშენებლობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობისათვის. თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველო უახლოეს დროში გახსნის სტაციონარულ სავაჭრო წერტილს. ახალ ბაზარში განზრახულია საკონტროლო სწდგურის აგება რძისა და ხორცის პროდუქტების ხარისხის შესამოწმებლად (საქდესი).

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

სახადილო „თბილისი“ ყოველდღიურად უშვებს საუზმეს და ვახშამს მისამგრებელი ბარათების გარეშე, სხვადასხვაგვარი სასმელებით. საუზმე: დილის 10 საათიდან და ვახშამი დღის 3 საათიდან.

სამზარეულო მუშაობს გამოცდილი ოსტატ-კულინარის ხელმძღვანელობით.

„თბილსაწყვეტრესტი“

დედა ნინო, ძმები ღუტუ, შოთა, და ქეთო, ბიძა შოთა [illegible] ნიკიფორე კაჭალმაძე ოჯახებით იუწყებიან ეთერ ივანეს-ასულ ალსაბაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/XII, 5 ს. ბესიკის, 21. 1771

მუსიკალური სათამაშოების ფაბრიკის კოლექტივი იუწყება ეკატერინე ქრისტეფორეს-ასულ მარიხაშვილის გარდაცვალებას. პანაშვ. 22, 23/XII, 6 ს. გამოსვ. 24/XII, 5½ ს. ჩოდრიშვილის, 42. 1772

იპოლიტე ბარნაბის-ძე კუპრაძე შეილით ნათელაძი იუწყება მარიამ (მარუსა) კირილეს-ასულ კუპრაძის გარდაცვალებას. პანაშვ. ყოველდღე საღ. 7 ს. გამოსვ. 26/XII, 1 ს. ჯაფარიძის, 20. 1773

ალექსანდრე ყაზბეგი

პროზის უზადო ოსტატის ალ. ყაზბეგის სახელი ქართულ მწერლობაში უეცრად შემოჭრა და მისი ნიჭიერი ნაწერები ხალხმა აიტაცა. საკმარისი გახდა ალ. ყაზბეგის რომანების „ფელეტონების სახით დაბეჭდვა „დროებასა“ და „ივერიაში“, რომ მწერლის სახელს უდიდესი პოპულარობა მოეპოვებინა. ყაზბეგის რომანები ჯერ კიდევ ცალკე წიგნებად არ იყო გამოსული და მასზე უკვე ლაპარაკობდნენ აღტაცებით, კითხულობდნენ განუზომელი ინტერესითა და სიყვარულით. ბოლო „როდესაც მისი ნაწერები ათასობით იყიდებოდა... როგორც მწყურვალი წყაროს, ისე ეწაფებიან მას“ (აკაკი).

ქართული რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელს გრ. ორბელიანს ალ. ყაზბეგის რომანები გაზეთის ფურცლებზვე წაუკითხავს და ზედ მიუწერია „ელგუჯას“ ფელეტონების არშიებზე—„ღმერთმა გაკურთხოს, მორჩებარიძეკ, ამ გულის დატკბობისთვის, რომელიც მომეცა ამ მოთხრობის წაკითხვის ჟამს. ჯერ ქართულ ენაზედ მსგავსი არა დაწერილიარა“; „მამის მკვლელის“ ფელეტონები კი აჭრელებულია ასეთი წარწერებით: „კარგია“, „შშვენიერია“, „ქართველი ჰომიროსი არის, შაბაშ!“. ეს სტრიქონები უბრალო მკითხველის გადაჭარბებული აღფრთოვანებით წარმოთქმული სიტყვები როდია, არამედ დიდი პოეტის დიდი და მიუდგომელი შეფასება.

და ისტორიამ გაიზიარა ეს შეფასება.

ის დიდი მღელვარება და აღტაცება, რაც ალ. ყაზბეგის რომანებმა მის თანამედროვეებში გამოიწვიეს, დღემდე არ შენელებულა. ყაზბეგის ნაწერები დაუბერებლად ცოცხლობენ, ახლაც ვგრძნობთ და განვიცდით ყაზბეგის გმირების რაინდულ სულს, მათ ეშმაკკლო სიყვარულსა და ვაჟკაცობას, რასაც ისინი იჩენდნენ თავისუფლებისა და ჰუმანური იდეალებისათვის ბრძოლაში. და ალ. ყაზბეგის ძალაც, როგორც მხატვრისა, ამაშია.

პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც მკითხველი იღებდა და იღებს ალ. ყაზბეგის ნაწერებიდან, არის ადამიანთა ვაჟკაცობა, გასაოცარი გმირობა შეერთებული ღრმა და ფაორ